

თბილისის თავისუფალი აკადემია



ბიზნესის ადმინისტრირების
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება

ბიზნესის ადმინისტრირება

Business Administration

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური

I საფეხური, ბაკალავრიატი

First level, Bachelor

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი

აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა

Higher Education Academic Programme

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი

Bachelor of Business Administration

სწავლის ხანგრძლივობა

სწავლების ხანგრძლივობა 8 სემესტრი (4 სასწავლო წელი)

პროგრამის მოცულობა კრედიტებით

240 (ECTS) კრედიტი

სწავლების ენა

საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე

პროგრამის ხელმძღვანელი

მარინე კობალავა

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი

დავით შოშიტაშვილი

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების, შიდა/გარე მობილობის განხორციელების და ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამას გააჩნია დაშვების გამჭვირვალე წინაპირობა, რომელიც შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და ორიენტირებულია პირის მიერ პროგრამის დამლევის შესაძლებლობებზე. აკადემიის ოფიციალურ ვებ - გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია და იგი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის.

პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა

საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობა გათვლილია 6 სემესტრზე (ოთხ აკადემიურ წელზე, ხოლო სემესტრი მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას, დამატებითი გამოცდ(ებ)ის ჩატარებისა და მათში სტუდენტის მიღწევის შეფასების პერიოდს).

საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს.

კრედიტი გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და მისი მიღება შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის მეშვეობით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის N3 ბრძანებით.

ერთი აკადემიური წელი მოიცავს 60 (ECTS) კრედიტს.

ერთი კრედიტი (ECTS) უტოლდება სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვას) 25 საათის განმავლობაში და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ საათებს.

კრედიტების განაწილება სხვადასხვა სასწავლო კომპონენტებს შორის ეფუძნება საშუალო აკადემიური მიღწევის მქონე სტუდენტის დატვირთვის რეალურ შეფასებას, რომელიც საჭიროა ყოველი კომპონენტისათვის დადგენილი სწავლის შედეგის მისაღწევად.

კრედიტის გაანგარიშებისას არ არის გათვალისწინებული დამატებითი გამოცდისათვის (მომზადება, ჩაბარება, შეფასება) განსაზღვრული დრო, აგრეთვე საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელ პირთან საკონსულტაციო დრო.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს.

იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ვერ შეძლებს 4 აკადემიური წლის განმავლობაში პროგრამის დამლევას და მინიმუმ 240 კრედიტის მოპოვებას, მას ეძლევა შესაძლებლობა დამატებითი სემესტრის/სემესტრების განმავლობაში ამოწუროს პროგრამა და მოიპოვოს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

საბაკალავრო პროგრამის საბოლოო შედეგები მიიღწევა საბაკალავრო პროგრამით გაწერილი სასწავლო კომპონენტების შესწავლის შედეგად. ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის სავალდებულოა საბაკალავრო ნაშრომის მომზადება, დაცვა და პრაქტიკის გავლა.

პროგრამის სტრუქტურა

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა შედგენილია განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის მოთხოვნების შესაბამისად. პროგრამა ორიენტირებულია ბოლონიის პროცესით დეკლარირებულ მოთხოვნებზე და აკუმულირდება სწავლების ხარისხის შეფასებების კონკურენტუნარიანობის პრიორიტეტულობაზე.

უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოში განსაზღვრული ბაკალავრის კომპეტენციებისა და ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრისადმი დასაქმების ბაზრის მოთხოვნათა გათვალისწინებით, საბაკალავრო პროგრამით ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის მომზადება მიმდინარეობს მირითადი სწავლების სფეროს სავალდებულო, მირითადი სწავლების სფეროს არჩევითი, არჩევითი და თავისუფალი სასწავლო კურსების მეშვეობით. მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების ლოგიკური თანმიმდევრობა განსაზღვრავს საბაკალავრო პროგრამის შინაარსს, მის სტრუქტურას და ასახულია სასწავლო გეგმაში.

საგანმანათლებლო პროგრამის 240 კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:

მირითადი სწავლების სფეროს სავალდებულო სასწავლო კომპონენტები - 175 კრედიტი, მათ შორის:

- მირითადი სწავლების სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 125 კრედიტი;
- ინგლისური ენის კომპონენტი (I-IV) - 20 კრედიტი;
- პრაქტიკის კომპონენტი - 10 კრედიტი;
- საბაკალავრო ნაშრომი - 20 კრედიტი.

არჩევითი სასწავლო კომპონენტები - 65 კრედიტი, მათ შორის:

- ძირითადი სწავლების სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - სავალდებულო 35 კრედიტი;
- არჩევითი სასწავლო კურსები - სავალდებულო 10 კრედიტი;
- თავისუფალი კომპონენტი - სავალდებულო 20 კრედიტი.

ძირითადი სწავლების სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების კომპონენტები ორიენტირებულია სტუდენტს მისცეს ფუნდამენტური ცოდნა ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს განვითარების თავისებურებების, ბიზნესის მართვის ძირითადი პრინციპებისა და თეორიების შესახებ. ძირითადი სწავლების სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების კომპონენტები უზრუნველყოფს ბიზნესის ყველა დეტერმინანტის - მენეჯმენტის, მარკეტინგის, ფინანსების, მენეჯერული და საფინანსო აღრიცხვის კომპლექსურ ცოდნას, შემძიმელი ცოდნის საფუძველზე პროფესიული მოღვაწეობისათვის საჭირო უნარ-ჩვევებისა და ღირებულებების გამომუშავებას.

ინგლისური ენის კომპონენტი ორიენტირებულია ინგლისურენოვანი წყაროების სწავლისა და სწავლების პროცესში გამოყენებაზე და ინტერნაციონალიზაციის ელემენტის გაძლიერებაზე. კერძოდ, იგი უზრუნველყოფს ენების საერთო ევროპული ჩარჩოს მიერ განსაზღვრული ინგლისური ენის B2 დონის შესაბამისი უნარ - ჩვევების დაუფლებას, ენის ასპექტების ცოდნასა და აქტუალიზაციას, კომუნიკაციის უნარ-ჩვევების განვითარებას.

პრაქტიკის კომპონენტი ორიენტირებულია სწავლის პროცესში მოპოვებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის რეალიზებაზე. აღნიშნული კომპონენტი შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს აკადემიურ გარემოში მიღებული ცოდნისა და უნარ - ჩვევების პრაქტიკაში გამოყენების გამოცდილება.

საბაკლავრო ნაშრომი ორიენტირებულია თეორიული ხასიათის ნაშრომის შესრულებისათვის საჭირო უნარების განვითარებაზე. სტუდენტი დამოუკიდებლობის ხარისხის შესაბამისად განახორციელებს საბაკალავრო ნაშრომის შესრულება/კვლევას. საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობისას უნდა გამოვლინდეს საბაკალავრო პროგრამის სავალდებულო და არჩევითი კომპონენტების შესწავლის შედეგად მიღწეული ცოდნის დონის და პრაქტიკული უნარების ხარისხის შესაბამისობა საბაკალავრო პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან.

თავისუფალი კომპონენტი ორიენტირებულია ზოგადი და ტრანსფერული უნარების განვითარების ხელშეწყობაზე სტუდენტისათვის საინტერესო სფეროებში თვალსაწიერის გაფართოების მიზნით. მისაღწევი შედეგების ფორმირების ლოგიკური თანმიმდევრობა და ევოლუცია განსაზღვრავს პროგრამის შინაარსს, მის სტრუქტურას და სასწავლო გეგმას.

პროგრამის შესაბამისობა მისიასთან

თბილისის თავისუფალი აკადემია ქმნის თანამედროვე სასწავლო გარემოს ინოვაციური მეთოდების

დანერგვით. აკადემია მუდმივცვალებად ციფრულ ეპოქაში უზრუნველყოფს მოამზადოს შრომის ბაზრისათვის კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური და სოციალურად მაღალი ცნობიერების მქონე თაობები. საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარს მიაწოდოს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში მოღვაწე სამოქალაქო საზოგადოების მოთხოვნების შესაბამისი განათლების მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტები.

მისიიდან გამომდინარე ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია მოამზადოს სტრატეგიულად მოაზროვნე სპეციალისტები, რომლებსაც ექნებათ ეფექტური მართვისა და განვითარების უნარი.

პროგრამის აქტუალობა

ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულება ერთ-ერთი მოთხოვნადი პროფესიაა შრომით ბაზარზე, ხოლო ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მოთხოვნადია მისი დასაქმების ფართო სპექტრიდან გამომდინარე, რამეთუ ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირს შეუძლია დასაქმდეს, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში. შესაბამისად, თანამედროვე შრომით ბაზარზე თითქმის არ არსებობს სფერო, სადაც ბიზნესის ადმინისტრირების კურსდამთავრებული ვერ დასაქმდება. პროგრამის აქტუალობა გამომდინარეობს დარგის პოპულარობიდანაც, რასაც განაპირობებს ისეთ ფაქტორთა ერთობლიობა, როგორიცაა ბიზნეს საქმიანობის დაწყების რელევანტურობა, მისი მართვა და სფეროს პრესტიჟულობა. საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია დამსაქმებლების საჭიროებებზე, რადგან შრომითი ბაზარი გახდა უკიდურესად კონკურენტული.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს დასაქმდეს კერძო და საჯარო დაწესებულებებში, სადაც არ მოითხოვება მაგისტრის აკადემიური ხარისხი. კერძოდ:

- სახელმწიფო დაწესებულებებში;
- სახელმწიფო მართვის ცენტრალურ, ადგილობრივ და მუნიციპალურ ორგანოებში;
- ადგილობრივ და საერთაშორისო კომპანიებში;
- სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში;
- კერძო სექტორში;
- სადაზღვევო კომპანიებში;
- საბანკო სექტორში;
- მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში;
- საფინანსო, საგადასახადო, საბუღალტრო, აუდიტის, საბროკერო და ბიზნესის სხვადასხვა ფუნქციონალურ სფეროებში.

მათ ასევე შეეძლებათ დაიკავონ ფინანსური მენეჯერის, მარკეტინგის მენეჯერის და სხვა მნიშვნელოვანი

პოზიციები. კურსდამთავრებულები პროფესიული საქმიანობის განხორციელებას შეძლებენ განათლების, ჯანდაცვის, მართვის, წარმოებისა და ბიზნესის, მოსახლეობის სოციალური დახმარების სფეროშიც და ასევე, ეს შეიძლება იყოს კვლევითი ორგანიზაციები, საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ცენტრები, ტრენინგის ცენტრები, სარეკლამო და PR ინდუსტრია, საკონსულტაციო და კონსალტინგური ცენტრები და ა.შ. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრს შეეძლება დააფუძნოს საკუთარი ბიზნესი და უხელმძღვანელოს პროფესიონალთა ჯგუფის მუშაობას ბიზნეს - საქმიანობის პროცესში.

აღნიშნული საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული ასევე შეძლებს მიღებული ცოდნის გამოყენებას და დასაქმებას მომიჯნავე სპეციალობის დარგში. კურსდამთავრებული შეძლებს სწავლის გაგრძელებას მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, როგორც ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით, ასევე სხვა მიმართულებითაც.

პროგრამის მიზანი

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიზანი და პროგრამის სწავლის შედეგები სრულ შესაბამისობაშია ერთმანეთთან, არის გაზომვადი და რეალისტური. ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამა მრავალფეროვანია და ფოკუსირებულია ბიზნესის გარემოს მულტიდისციპლინარული ცოდნის გამოყენებაზე.

პროგრამის მიზნები:

- ა. განათლების პირველი საფეხურის და შრომის ბაზრის შესაბამისი ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის მომზადება, რომლის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს მის კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე;
- ბ. სტუდენტის მიერ ბიზნესის ადმინისტრირების ძირითადი სფეროების შესახებ საბაზო თეორიული ცოდნის დაუფლება და შესაბამისი უნარ - ჩვევების შემუშავება;
- გ. ბიზნესის სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარისა და სპეციალობით საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა უნარების განვითარება.

პროგრამის სწავლის შედეგები

პროგრამის სწავლის შედეგები არის გაზომვადი, რეალისტური და აღწერს იმ ცოდნას, რომელსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფს კურსდამთავრებულისათვის მყარი საფუძვლის შექმნას შემდგომი საფეხურის აკადემიური პროგრამების დაუფლებისათვის.

პროგრამის სწავლის შედეგები:

1. იაზრებს ბიზნესის ადმინისტრირების აქტიურ მდგრელთა - ბიზნესის, მენეჯმენტის, მარკეტინგის, ფინანსების, საფინანსო აღრიცხვის, ფულისა და ფულად - საკრედიტო სისტემის, რისკების მართვის, დაზღვევის, საგადასახადო რეგულირების, კორპორაციული ფინანსების და ფინანსების მართვის ძირითად კონცეპტს და მათი გამოყენების კონტექსტს;
2. აღწერს ბიზნესის ძირითად ეკონომიკურ აქტორებს, ბიზნესის კონცეფციებს, საქმიანობის ძირითად მიზნებსა და ფუნქციებს, იკვლევს კონკრეტულ შემთხვევებს და ანალიზის საფუძველზე პროგნოზირებს სიტუაციას;
3. იდენტიფიცირებს ბიზნეს ბაზრების, სამომხმარებლო ბაზრების სინქრონიზაციის ძირითად ინდიკატორებს;
4. ახდენს ეკონომიკური კრიტერიუმების გამოყენებით საბიუჯეტო დისკუსიის კრიტიკას და ბიზნესის ციკლის ცვლილებასთან დაკავშირებით შესაბამისი საბიუჯეტო პოლიტიკის ფორმირებას;
5. ახდენს აყალიბებს მოსაზრებებს სფეროში არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ თანმიმდევრულად და არგუმენტირებულად ბიზნესის გამოწვევების ეფექტურად მართვის მიზნით;
6. ახდენს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროსათვის დამახასიათებელი პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელებას წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, მათემატიკური მეთოდებისა და მოდელების გამოყენებით მათ თვისობრივ და რაოდენობრივ ანალიზს;
7. ამყარებს კომუნიკაციას ინგლისურ ენაზე პროფესიული ტერმინოლოგიის დემონსტრირებით.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით გამოყენებულია სწავლება - სწავლის შემდეგი მეთოდოლოგია:

- დისკუსია/დებატები – ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს თვალსაწიერის გაფართოების მიზნით;
- პრეზენტაცია/დემონსტრირების მეთოდი – ეს მეთოდი ეხმარება, თვალსაჩინო გახდეს სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არს, რაც შედეგის მიღწევის თვალსაზრისით საკმაოდ ეფექტურია. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ლექტორის, ისე სტუდენტის მიერ;
- ინდუქციური მეთოდი – განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც

სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ;

- დედუქციური მეთოდი - განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ;
- ანალიზის მეთოდი - ეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება;
- სინთეზის მეთოდი - გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას;
- ახსნა - განმარტებითი მეთოდი - ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვა ხდება მოცემული თემის ფარგლებში. ეს მეთოდი ხელს უწყობს ჯგუფის მაქსიმალურ ჩართულობას საკითხთა განხილვის პროცესში, სტუდენტის ლოგიკური აზროვნების, დამოუკიდებელი აზრის ჩამოყალიბების, საკუთარი აზრის დასაბუთების და სხვათა აზრის პატივისცემის უნარს;
- მაგალითების გენერირება - გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ სხვადასხვა მოდელირებული მაგალითის ჩამოყალიბებას;
- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება - მოითხოვს პედაგოგისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია;
- ელექტრონული სწავლება (E-learning) - ეს მეთოდი ითვალისწინებს უცხო ენის სწავლების პროცესში ელექტრონული რესურსების გამოყენებას. სასწავლო კურსის სილაბუსში კონკრეტულად არის წარმოდგენილი სასწავლო კურსის განხორციელებისას გამოყენებული სწავლების მეთოდები;
- სოკრატული მეთოდი - სწავლების მეთოდი, რომელიც გულისხმობს სტუდენტთა აქტიურად ჩართვას კითხვების პასუხის გზით საკუთარი ცოდნის აგებაში. იგი გულისხმობს იმ კითხვებზე ორიენტირებას, რომელიც მხოლოდ პრობლემურია და არა ინფორმაციული. სოკრატული მეთოდის გამოყენება შესაძლებელია დისკუსიისა და დებატების გზით. აღნიშნული მეთოდი სტუდენტებს უვითარებს კრიტიკულ და ლოგიკურ აზროვნებას.

სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით გამოყენებულია შემდეგი შეფასების მეთოდები:

- პრაქტიკული სამუშაო - სტუდენტი შემენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ მოქმედებას, რაც მას პრაქტიკულ უნარ - ჩვევებს უყალიბებს;
- პრეზენტაცია - მოიაზრებს სტუდენტთა დაკომპლექტებას შესაბამის ჯგუფებად. საპრეზენტაციო თემები სტუდენტებმა შესაძლებელია შეარჩიონ ლექტორის მითითებით ან დამოუკიდებლად და

	<p>მოძიებული მასალის დამუშავების საფუძველზე დაიცვან საჯაროდ;</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ ვერბალური პრეზენტაცია - მოიცავს თეორიული საკითხების ცოდნას, რომელიც ხორციელდება ნარატივის სახით ან შეკითხვებზე პასუხის გაცემის ფორმატში და მოიაზრებს გამოკითხვაში, დისკუსიაში მონაწილეობას. ვერბალური პრეზენტაცია ითვალისწინებს თეორიული საკითხების ცოდნის დემონტრაციასა და მსჯელობას კონკრეტულ საკითხებზე; ▪ გონებრივი იერიში - გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად ბევრი, რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და მისი გამოთქმის ხელშეწყობას, რაც ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას; ▪ რესურსების მოძიება - ახალი ინფორმაციის/მასალის დამოუკიდებლად მოძიება ელექტორნული და ბეჭდური საშუალებების გამოყენებით; ▪ სააზროვნო შეკითხვები - წარმოადგენს სწავლებისა და სწავლის ეფექტიან სტრატეგიებს, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტთა მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას; ▪ პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა (PBL) – სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას. მისი გამოყენება განსაკუთრებით ეფექტურს ხდის სასწავლო პროცესს და ზრდის სტუდენტებში სწავლის მოტივაციას. ავითარებს სტუდენტებში ტრანსფერის, კრიტიკული, ანალიტიკური, შემოქმედებითი, კომუნიკაციის, თანამშრომლობისა და სხვა უნარებს; ▪ შემთხვევების შესწავლა/ანალიზი (Case study) - სიტუაციური ანალიზის მეთოდია, რომლის საფუძველია სწავლება კონკრეტული ამოცანების/სიტუაციების გადაჭრის გზით ე.წ. „ქეისების“ ამოხსნა. სწავლების მეთოდი დაფუძნებულია კონკრეტული პრაქტიკული მაგალითების (კეისების) განხილვაზე. „ქეისი“ წარმოადგენს ერთგვარ ინსტრუმენტს, რომელიც მიღებული თეორიული ცოდნის გამოყენების საშუალებას იძლევა პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისთვის თეორიისა და პრაქტიკის შეხამებით. მეთოდი ეფექტიანად ანვითარებს დასაბუთებული გადაწყვეტილებების შეზღუდულ დროში მიღების უნარს; ▪ ჯგუფური (collaborative) მუშაობა - გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში; ▪ ინდივიდუალური პროექტი - წარმოადგენს სწავლა-სწავლების მეთოდს, სადაც გაითვალისწინება მიღებული ცოდნის შენარჩუნება და მისი აქტიური გამოყენება. იგი არის ერთგვარი გეგმა, რომელშიც ასახულია კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მოდელირებული განხორციელების შესაძლებლობა; ▪ ევრისტიკული მეთოდი - ეფუძნება დასმული საკითხის ეტაპობრივ გადაწყვეტასა და სწავლებისას
--	---

ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებას. მეთოდი მოიაზრებს ეკონომიკის საგარეო სექტორის ამა თუ იმ მიმართულების განვითარების ამსახველი განმაზოგადებელი მაჩვენებელების გაანგარიშებას სტუდენტის მიერ, მოვლენების განვითარების კანონზომიერების დადგენას და დასკვნების გაკეთებას. შედეგები სტუდენტმა უნდა წარადგინოს პრაქტიკულ მეცადინეობაზე და უნდა შეძლოს დისკუსიის წარმართვა აუდიტორიასთან;

- თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება - ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ თვითონ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. ჯგუფის თითოეული წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს;
- სიტუაციური იმიტაცია - სიტუაციური იმიტაცია წარმოადგენს მეთოდს, სადაც სტუდენტს ეძლევა საშუალება კონკრეტული საკითხის/თემის წარმოსასახად და შემდგომ გასაანალიზებლად; ამ მეთოდით სტუდენტი სწავლობს დავალების შესრულებას დაკვირვებებსა და მოქმედებებს შორის ასახვის შესწავლით. იმიტაციის საშუალებით სწავლების პარადიგმა პოპულარობას იძენს, რადგან იგი ხელს უწყობს რთული ამოცანების სწავლებას დავალებების მინიმალური ექსპერტული ცოდნის საფუძველზე;
- ქვიზი - არის წერითი ნამუშევარი (განვლილი თემატიკის ფარგლებში თეორიული მასალის შემოწმება). ამ მეთოდით იზომება სტუდენტის ცოდნა, შესაძლებლობები, უნარები. ქვიზი შედგება თეორიული საკითხებისაგან;
- როლური თამაშები - წარმოადგენს სწავლების აქტიურ მეთოდს, რომელიც მიმართულია დიალოგური და მონოლოგური მეტყველების, მოსმენის უნარ-ჩვევების განვითარებაზე. როლური თამაშების დროს ხდება საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი დარგობრივი ლექსიკის, ენობრივი კონსტრუქციების, კლიშეების გამოყენება და მათი დამახსოვრება. ამ აქტივობის მიზანია მონაწილეებმა მეტი ცოდნა მიიღონ ერთმანეთის გამოცდილების გაზიარების საფუძველზე. წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით განხორციელებული თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედონ საკითხს. იგი ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, ეს თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს;
- ესე - დამოუკიდებელი მუშაობა ლექტორის მიერ წინასწარ განსაზღვრულ თემაზე - სტუდენტა სწავლის შედეგების შეფასების ეფექტური მეთოდია. მისი გამოყენება სწავლებაში ხელს უწყობს სტუდენტების მიერ აზრის მკაფიოდ და გამართულად, ლოგიკური თანმიმდევრობით ჩამოყალიბების, ბიზნესის ტერმინოლოგიით მეტყველების ჩვევების განვითარებას. ასევე ესე აჩვევს სტუდენტებს მაგალითების, ციტატების გამოყენებას, განსახილველი თემის შესახებ საკუთარი აზრის დაფიქსირებას. ესეს მიზანია სტუდენტების შემეცნებითი საქმიანობის ნაყოფიერი და შემოქმედებითი ნაწილის დიაგნოსტირება, რაც გულისხმობს ინფორმაციის ანალიზის, მისი ინტერპრეტაციის, არგუმენტების აგების, დასკვნების ფორმულირების უნარების შეფასებას;
- თარგმანი - დარგობრივ ლექსიკაზე დაყრდნობით განუვითარებს სტუდენტს თარგმნის პრაქტიკულ

უნარ - ჩვევებს, გაუუმჯობესებს თარგმნის ტექნიკას, ასწავლის მათ როგორ ჩასწვდნენ ტექსტის ენას, გაიაზრონ ექსპლიციტური და იმპლიციტური ინფორმაცია;

- სავარჯიშოები - აუცილებელი შემადგენელია უცხოური ენის სწავლების პროცესში გრამატიკული და ლექსიკური უნარების აქტუალიზაციისათვის, დარგობრივი ენის დახვეწა-გაღრმავებისათვის;
- წერითი მუშაობა - სტუდენტთა მიერ სხვადასხვა დავალებების წერითი ფორმით შესრულებას/წარმოდგენას;
- წიგნზე მუშაობა - სასწავლო ლიტერატურის დამოუკიდებლად მოძიებას, მომზადებას, მათ დაჯგუფებას, სისტემატიზირებას და დამუშავებას;
- მოსმენა - უნვითარებს სტუდენტს უცხოურ ენაზე აუთენტური ინგლისური მეტყველების გაგების, ყურადღების კონცენტრაციის, მოსმენილი მასალიდან ზოგადი და კონკრეტული ინფორმაციის აღქმისა და გაანალიზების უნარ - ჩვევებს;
- ბლიც-გამოკითხვა - არის ფრონტალური გამოკითხვა განვლილი მასალის ფარგლებში, რითაც ვლინდება სტუდენტის მიერ განვლილი მასალის აღქმის დონე შედარებით მოკლე დროში;
- სასემინარო მოხსენება - წარმოადგენს მეთოდს, რომელიც სტუდენტს უვითარებს საკითხის შესაბამისი, სანდო და ხარისხიანი წყაროების დამოუკიდებლად მოძიების, მონაცემთა შეგროვებისა და განმარტების, პრობლემების გამოკვეთის, მათი გადაჭრის გზების წარმოჩენის, თეზისების დამუშავებისა და დასკვნების წარმოდგენის უნარ - ჩვევებს. სასემინარო მოხსენება ავლენს საკითხის ცოდნის დონეს და მასალის დამუშავების სილრმეს.

შენიშვნა:

კონკრეტული აქტივობების ან მათი კომბინაციის შერჩევა დამოკიდებულია შესაბამისი კომპონენტით დასახულ მიზნებსა და სწავლის შედეგებზე. სასწავლო კურსების განმახორციელებელი ლექტორები სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით თავად განსაზღვრავენ სასწავლო პროცესში გამოსაყენებელ სხვადასხვა მეთოდებს, რაც ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის სილაბუსებში.

ლექციები ინტერაქციულია. მათი დანიშნულებაა სილაბუსით გათვალისწინებული თემების თეორიული გააზრება, განზოგადება და პრობლემურ დონეზე განხილვა, სტუდენტებისთვის დამოუკიდებელი სწავლის ორიენტირების ჩამოყალიბება. ლექციებზე ყურადღება კონცენტრირებულია განსახილველი საკითხის ძირითადი დებულებების გამოკვეთაზე, დასაბუთებული თეზისების ფორმულირებასა და მათ კრიტიკულ ანალიზზე. სამუშაო ჯგუფში მუშაობის/პრაქტიკული მუშაობის დანიშნულება ლექციებზე მიღებული ცოდნის გაღრმავება და დაკონკრეტება და მისი პრაქტიკული პლიკაციაა. ლექციაზე ხდება თეორიული მასალის გააზრება, მოსაზრებების ჩამოყალიბება და გაზიარება, კამათი და პოზიციის არგუმენტირება, კონკრეტული პრაქტიკული სამუშაოს შესრულება, პროფესიული საქმიანობის ჩვევების ფორმირება.

სტუდენტის მიღწევების შეფასება

უმაღლეს სასწავლებელში მოქმედებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის №3 ბრძანებით დამტკიცებული სტუდენტთა შეფასების 100-ქულიანი სისტემა. შეფასებათა მაქსიმალური

ჯამური ქულა უდრის 100 (ასს), შესაბამისად, მაქსიმალური დადებითი შეფასება 100 ქულაა, ხოლო მინიმალური დადებითი შეფასება არის 51 ქულა. შეფასების თითოეულ მეთოდს განსაზღვრული აქვს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რაც სასწავლო კურსის სპეციფიკისა და სწავლის შედეგების მიღწევის ინტერესის გათვალისწინებით სხვადასხვა სასწავლო კურსში განსხვავებული შეიძლება იყოს.

სტუდენტის შეფასება:

ა. ხუთი სახის დადებით შეფასება:

- ა.ა) (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91 - 100;
ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81 - 90;
ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71 - 80;
ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61 - 70;
ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51 - 60;

ბ. ორი სახის უარყოფით შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება მიმდინარე სემესტრში;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შუალედური შეფასება დაყოფილია კომპონენტებად: - პრაქტიკული აქტივობა (სამუშაო ჯგუფში მუშაობა/სემინარული/პრაქტიკული მეცადინეობა, პრეზენტაცია და სხვ..) და შუალედური გამოცდა. თითოეულს აქვს თავისი პროცენტული წილი შეფასების სისტემაში.

100 ბალიანი სისტემიდან შუასემესტრულ კომპონენტებზე გადანაწილებულია 60 ქულა, ხოლო 40 ქულა ეთმობა დასკვნით გამოცდას. შუასემესტრული კომპონენტებისთვის განსაზღვრული 60 ქულა ნაწილდება შუალედური შეფასებების მიხედვით.

სტუდენტის შეფასებისას წაყენებული აკადემიური მოთხოვნები:

სტუდენტი კრედიტის მისანიჭებლად ვალდებულია გადალახოს სასწავლო კურსის სილაბუსით შეფასების თითოეულ ფორმაში/კომპონენტში დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

ა. საგანამანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტში - სასწავლო კურსის შეფასების თითოეულ ფორმაში დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არ უნდა აღემატებოდეს შემდეგ ოდენობებს:

- პრაქტიკული მეცადინეობების/აქტივობების 40 ქულიდან სტუდენტი ვალდებულია დააგროვოს 20 ქულა;
- შუალედური გამოცდის 20 ქულიდან დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 11 ქულას;

- დასკვნითი გამოცდის 40 ქულის მინიმალურ სავალდებულო კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 20 ქულას.

ბ. საგანამანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტში - პრაქტიკა, შეფასება მრავალჯერადი და მრავალკომპონენტიანია. შეფასება ექვემდებარება პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტის შუალედურ შეფასებას - 40 ქულა და დასკვნით შეფასებას - 60 ქულა. პრაქტიკის შეფასების თითოეულ ფორმაში დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არ უნდა აღემატებოდეს შემდეგ ოდენობებს:

- შუალედური შეფასება - 40 ქულა; შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 20 ქულა. შუალედური შეფასება მოიცავს პრაქტიკული სამუშაოს შეფასებას - 20 ქულა (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 10 ქულა) და აქტივობას პრაქტიკულ მეცადინეობაზე - 20 ქულა (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 10 ქულა).
- დასკვნითი შეფასება - 60 ქულა; დასკვნითი შეფასება/პრაქტიკის დაცვის 60 ქულის მინიმალური სავალდებულო კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 31 ქულას. დასკვნითი შეფასება მოიცავს პრაქტიკის ანგარიშის დაცვას - 40 ქულა (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 20 ქულა) და საჯარო პრეზენტაციას - 20 ქულა (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 11 ქულა).

გ. საგანამანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტში - საბაკალავრო ნაშრომი, შეფასება მრავალჯერადი და მრავალკომპონენტიანია. შეფასების თითოეულ ფორმაში დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არ უნდა აღემატებოდეს შემდეგ ოდენობებს:

- შუალედური შეფასება - 40 ქულა; შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 21 ქულა.
- დასკვნითი შეფასება - საბაკალავრო ნაშრომის დაცვა/საბოლოო შეფასება - 60 ქულა; მაქსიმალური 60 ქულიდან სტუდენტი ვალდებულია დააგროვოს 30 ქულა.

თუ სტუდენტი ვერ გადალახავს აკადემიაში დამტკიცებული სასწავლო კურსით განსაზღვრულ შეფასების თითოეულ ფორმაში/კომპონენტში დადგენილ მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, ის მოიხსნება სასწავლო კურსიდან და გაუფორმდება შეფასება "F", რაც ითვალისწინებს აღნიშნული სასწავლო კურსის განმეორებით შესწავლას. დასკვნითი გამოცდა ტარდება სემესტრის ბოლოს, სასწავლო პროცესის აკადემიური კალენდრით განსაზღვრულ ვადებში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელმაც გადალახა შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

FX შეფასების და/ან დასკვნით გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, ასევე მიღებული შეფასების გაუმჯობესების მიზნით სტუდენტს ეძლევა გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება დამატებით გამოცდაზე იმავე სემესტრში, დასკვნითი გამოცდიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებად დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო

კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფორმდება შეფასება F-ქულა.

შენიშვნა:

- შეფასების ფორმები და კომპონენტები, მათი ხვედრითი წილი საერთო შეფასებაში და მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, ასევე შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები ასახულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში და ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის;
- დასკვნითი გამოცდა ტარდება სემესტრის ბოლოს, სასწავლო პროცესის აკადემიური კალენდრით განსაზღვრულ ვადებში;
- დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად შეფასება;
- პრაქტიკის განხორციელებისა და საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობისათვის სტუდენტს უნდა ჰქონდეს ათვისებული საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სავალდებულო სასწავლო კურსები.

აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომის გაცემა

ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულისათვის კვალიფიკაციის მინიჭება ხდება „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების ბრძანების შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია და ეძღვევა შესაბამისი საბაკალავრო პროგრამის გავლის დამადასტურებელი სახელმწიფო ნიმუშის დიპლომი, სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიმუშის დანართთან ერთად.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი აღამიანური რესურსი

პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური კადრებით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ კომპონენტებს უძღვება ინსტიტუციის აკადემიური პერსონალი, სათანა-დო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული პერსონალი და პრაქტიკოსი სპეციალისტები.

საბაკალავრო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსები

პროგრამით გათვალისწინებული მიზნების რეალიზაციისა და სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ტექნიკით და თანამედროვე ტექნოლოგიებით,

ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიებით, საპროფესოროებით, ბიბლიოთეკით (წიგნადი და ელექტრონული), კომპიუტერული ცენტრით, კომპიუტერული პროგრამებით, უწყვეტი ინტერნეტით. უსდ-ში ფუნქციონირებს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა.

თბილისის თავისუფალ აკადემიას აქვს წვდომა შემდეგ საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებზე:

- Cambridge Journals Online - ბაზა მოიცავს 360 დასახელების აკადემიურ ჟურნალს და 30 000-ზე მეტი დასახელების ელექტრონულ წიგნს შემდეგ სამეცნიერო მიმართულებებში: ეკონომიკა, მათემატიკა, პოლიტიკა, ასტრონომია და ა.შ.;
- e-Duke Journals Scholarly Collection – ბაზა ღია წვდომის საშეალებას იძლევა Duke University Press-ის მიერ გამოცემულ წიგნებსა და ჟურნალებზე. ეს გამოცემლობა ყოველწლიურად გამოსცემს 120 დასახელების ახალ წიგნსა და 50-ზე მეტ ელექტრონულ სამეცნიერო ჟურნალს სხვადასხვა სამეცნიერო დარგში;
- Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books – ბაზა მოიცავს სამეცნიერო კვლევებს, მონოგრაფიებს, სახელმძღვანელოებს, ლექსიკონებს, ენციკლოპედიებს და ჟურნალებს ეკონომიკაში, ბიზნესში, სოციალურ მეცნიერებებში და სამართალში. მათ მიერ გამოცემულ ავტორებს შორის 14 ნობელის პრემიის ლაურეატია;
- IMechE Journals – ბაზა მოიცავს სამეცნიერო ჟურნალებს სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში. ჯანდაცვისა და ბიოსამედიცინო სფეროებში, ინჟინერიისა და ფიზიკის მეცნიერებებში;
- Royal Society Journals Collection – ბაზა მოიცავს ბიოლოგიის, ფიზიკისა და საინჟინრო-მათემატიკურ მეცნიერებებს, გარემოსა და კლიმატის შესახებ მიმართულებებს და სხვ.;
- SAGE Journals – ბაზა მოიცავს სხვადასხვა სამეცნიერო მიმართულებების 900-ზე მეტი დასახელების ჟურნალს და 700 000-ზე მეტ პუბლიკაციას. ჩვენი მომხმარებლისათვის მასალებზე წვდომა შესაძლებელია 1999 წლიდან დღემდე გამოქვეყნებულ რესურსებზე;
- Openedition Journals - ბაზა აერთიანებს 4 პლატფორმას, რომელიც ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ელექტრონულ რესურსებს მოიცავს;
- Edward Elgar Publishing Journals;
- Mathematical Sciences Publishers Journals.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სრულყოფილად განხორციელებისა და პროფესორ-მასწავლებელთა მხარდაჭერის მიზნით საბაკალავრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება პროგრამის ბიუჯეტით. ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა მიმართულია პროგრამით გათვალისწინებული მატერიალურ - ტექნიკური რესურსების მუდმივ განახლებაზე, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის პროგრამის შესაბამისი უახლესი ლიტერატურით შევსებაზე, კვლევითი პროექტების ხელშეწყობაზე, სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების მოწყობაზე, აკადემიის პროფესორ - მასწავლებელთა განვითარებაზე, მათ შორის, მათი ნაშრომების, სახელმძღვანელოების

შემუშავება/გამოცემაზე და სხვა აქტივობების განხორციელებაზე.

საგანმანათლებლო პროცესის სასწავლო-მეთოდური უზრუნველყოფა

სასწავლო პროცესი მეთოდურად უზრუნველყოფილია აკადემიის შიდანორმატიული აქტებით, რომელიც ემყარება საქართველოს კანონს „უმაღლესი განათლების შესახებ”, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებებს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებებს.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა სასწავლო კურსის სწავლების პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი სასწავლო - მეთოდური მასალით, შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსებით, სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურით, ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებითა და საინფორმაციო წყაროებით.

საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა

	სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო კურსის კოდი	კრედიტები	სათავე	ლექცია	პრაქტიკული მეცადნება	შუალედური გამოყენება	ღასტანითი გამოყენება	საკონტაქტო სათავზი	დაშორებული მუშაობა	კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით								წინაპირობა
	ძირითადი სწავლების სფეროს საგალდებულო სასწავლო კურსები										I	II	III	IV	V	V I	V II	V II I	
1		CALC 111	4	100	15	15	2	3	35	65	4								წინაპირობის გარეშე
2		BBIZ111	5	125	15	30	2	3	50	75	5								წინაპირობის გარეშე
3		ACWR 111	4	100	15	15	2	3	35	65	4								წინაპირობის გარეშე
4		MICR111	6	150	15	30	2	3	50	100	6								წინაპირობის გარეშე
5		MACR121	6	150	15	30	2	3	50	100		6							მიკროეკონო მიკა
6		MATB121	4	100	15	15	2	3	35	65		4							კალკულუსი
7		BMAN121	6	150	15	30	2	3	50	100		6							ბიზნესის საფუძვლები
8		MANP131	6	150	15	30	2	3	50	100			6						წინაპირობის გარეშე
9		BASM131	6	150	15	30	2	3	50	100			6						წინაპირობის გარეშე
10		ACCT131	5	125	15	30	2	3	50	75		5							წინაპირობის გარეშე
11		MACO141	6	150	15	30	2	3	50	100				6					მარკეტინგი

																				1
12		CMAN141	5	125	15	30	2	3	50	75						5				მენეჯმენტის საფუძვლები
13		STEB141	5	125	15	30	2	3	50	75						5				წინაპირობის გარეშე
14		SMAN151	5	125	15	30	2	3	50	75						5				კორპორაცი ული მენეჯმენტი
15		ECONP151	5	125	15	30	2	3	50	75						5				მაკროეკონო მიკა
16		CFIN151	5	125	15	30	2	3	50	75						5				ფინანსების საფუძვლები
17		INBU151	5	125	15	30	2	3	50	75						5				ბიზნესის მართვა
18		HMAN161	5	125	15	30	2	3	50	75						5				სტრატეგიუ ლი მენეჯმენტი
19		ACC161	5	125	15	30	2	3	50	75						5				წინაპირობის გარეშე
20		PUFI 161	5	125	15	30	2	3	50	75						5				კორპორაცი ული ფინანსები
21		INBAS161	5	125	15	30	2	3	50	75						5				ფინანსების საფუძვლები
22		AUDI171	4	100	15	15	2	3	35	65						4				ბუღალტრუ ლი აღრიცხვა
23		BANK171	4	100	15	15	2	3	35	65						4				ფინანსების საფუძვლები
24		TAX171	4	100	15	15	2	3	35	65						4				ბიზნესის საფუძვლები
25		ORG171	5	125	15	30	2	3	50	75						5				ადამიანური რესურსების მენეჯმენტი
	ჯამი			125	3125	375	660	50	75	1160	1965									
	ინგლისური ენის კომპონენტი																			

1	ინგლისური ენა 1	ENGL 111	5	125	-	45	2	3	50	75	5								წინაპირობის გარეშე
2	ინგლისური ენა 2	ENGL 121	5	125	-	45	2	3	50	75	5								ინგლისური ენა 1
3	ინგლისური ენა 3	ENGL 131	5	125	-	45	2	3	50	75	5								ინგლისური ენა 2
4	ინგლისური ენა 4	ENGL 141	5	125	-	45	2	3	50	75	5								ინგლისური ენა 3
	ჯამი		20	500	-	180	8	12	200	300									
1	პრაქტიკა	PRAC181	10	250	-	225	-	5	230	20								10	სავალდებუ ლო სასწ. კურსები
2	საბაკალავრო ნაშრომი	BACHT181	20	500	-	-	-	5	45	450								20	სავალდებუ ლო სასწ. კურსები
	ჯამი		30	750	-	225	-	5	410	340									
	სულ სავალდებულო კომპონენტების ჯამი		175	4375	375	1065	58	92	1770	2605									
	ძირითადი სწავლების სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები:																		
1		INFO110	5	125	15	30	2	3	50	75	5								წინაპირობის გარეშე
2		PCT120	4	100	15	15	2	3	35	65	4								წინაპირობის გარეშე
3		CESR130	4	100	15	15	2	3	35	65	4								წინაპირობის გარეშე
4		HECON130	3	75	15	15	2	3	35	40	3								წინაპირობის გარეშე
5		ALBT130	3	75	15	15	2	3	35	40	3								მათემატიკა ზოზნესისთვ ის
6		FINM140	4	100	15	15	2	3	35	65	4								წინაპირობის გარეშე
7		PMAN 140	4	100	15	15	2	3	35	65	4								წინაპირობის გარეშე

8		LID140	3	75	15	15	2	3	35	40			3					წინაპირობის გარეშე
9		BCOM140	3	75	15	15	2	3	35	40			3					წინაპირობის გარეშე
10		PR150	5	125	15	30	2	3	50	75			5					წინაპირობის გარეშე
11		BREN160	4	100	15	15	2	3	35	65			4					წინაპირობის გარეშე
12		FBS160	3	75	15	15	2	3	35	40			3					წინაპირობის გარეშე
13		STOC160	4	100	15	15	2	3	35	65			4					წინაპირობის გარეშე
14		INMAR160	4	100	15	15	2	3	35	65			4					წინაპირობის გარეშე
15		INS170	3	75	15	15	2	3	35	40			3					წინაპირობის გარეშე
16		ADPRO170	4	100	15	15	2	3	35	65			4					წინაპირობის გარეშე
17		MARK170	4	100	15	15	2	3	35	65			4					წინაპირობის გარეშე
18		SMBUS170	4	100	15	15	2	3	35	65			4					წინაპირობის გარეშე
	ჯამი		68	1700	270	300	36	54	660	1040								
	არჩევითი სასწავლო კურსები																	
1		RETH120	3	75	15	15	2	3	35	40		3						წინაპირობის გარეშე
2		INFO120	3	75	15	15	2	3	35	40		3						წინაპირობის გარეშე
3		PHIL130	4	100	15	15	2	3	35	65		4						წინაპირობის გარეშე
4		IMAG130	3	75	15	15	2	3	35	40		3						წინაპირობის გარეშე
5		BLAW140	3	75	15	15	2	3	35	40		3						წინაპირობის გარეშე
6		RET150	3	75	15	15	2	3	35	40								წინაპირობის

																	გარეშე
7		INST150	4	100	15	15	2	3	35	65					3		წინაპირობის გარეშე
8		CONB170	4	100	15	15	2	3	35	65					4		წინაპირობის გარეშე
	ჯამი		27	573	120	120	16	24	280	395							
	თავისუფალი სასწავლო კურსები																
1	ლოგიკა	LOGI102	3	75	15	15	2	3	35	40							წინაპირობის გარეშე
2	ფსიქოლოგია	PSYC102	4	100	15	15	2	3	35	65							წინაპირობის გარეშე
3	საქართველოს ისტორია	HIST102	4	100	15	15	2	3	35	65							წინაპირობის გარეშე
4	ბიზნეს ინგლისური 1	1BENGL102	5	125	—	45	2	3	50	75							ინგლისური ენა 4
5	ბიზნეს ინგლისური 2	2BENGL102	5	125	—	45	2	3	50	75							ბიზნეს ინგლისური 1
6	შესავალი სამართალმცოდნეობაში	INLW102	4	100	15	15	2	3	35	65							წინაპირობის გარეშე
7	პოლიტოლოგია	POLS102	3	75	15	15	2	3	35	40							წინაპირობის გარეშე
8	საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკა	SIER102	3	75	15	15	2	3	35	40							წინაპირობის გარეშე
	ჯამი		31	775	90	180	16	24	310	465							

შენიშვნა:

- ძირითადი სწავლების სფეროს არჩევითი სასწავლო კურსებით შეთავაზებული 68 კრედიტიდან სტუდენტი იღევს სავალდებულო 35 კრედიტს;
- არჩევითი სასწავლო კურსებით შეთავაზებული 27 კრედიტიდან სტუდენტი იღევს სავალდებულო 10 კრედიტს;
- თავისუფალი სასწავლო კურსებით შეთავაზებული 31 კრედიტიდან სტუდენტი იღევს სავალდებულო 20 კრედიტს.

პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა

პროგრამის მიზნები	პროგრამის სწავლის შედეგი N1	პროგრამის სწავლის შედეგი N2	პროგრამის სწავლის შედეგი N3	პროგრამის სწავლის შედეგი N4	პროგრამის სწავლის შედეგი N5	პროგრამის სწავლის შედეგი N6	პროგრამის სწავლის შედეგი N7
ა. განათლების პირველი საფეხურის და შრომის ბაზრის შესაბამისი ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის მომზადება, რომლის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს მის კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე;	✓	✓					
ბ. სტუდენტის მიერ ბიზნესის ადმინისტრირების ძირითადი სფეროების შესახებ საბაზო თეორიული ცოდნის დაუფლება და შესაბამისი უნარ-ჩვევების შემუშავება;		✓	✓		✓		
გ. ბიზნესის სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარისა და სპეციალობით საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა უნარების განვითარება.				✓		✓	✓

პროგრამის სწავლის შედეგების რუკა

პროგრამის სწავლის შედეგები	პროგრამის სწავლის შედეგების რუკა																												
	სასწავლო კურსები																												
ინგლისური ენა 1	კალკულუსი	აკადემიური წერა	გიზნესის საფუძვლები	მიკროეკონომიკა	ინგლისური ენა 2	მაკროეკონომიკა	მათემატიკა ზოზნესისათვის	გაზისქის მართვა	ინგლისური ენა 3	მუნჯამნათას საფუძვლები	მარკეტინგი 1	ინგლისური ენა 4	მარკეტინგი 2	კორპორაციული მენეჯმენტი	სტატისტიკა ვრცელდება	სტრატეგიული მენეჯმენტი	მარკეტიკური პოლიტიკა	კორპორაციული ფინანსები	საერთაშორისო გაზისში	ადამიანური რესურსების მენეჯმენტი	ზუღალტრული აღრიცხვა	საჯარო ფინანსები	ინკუსტიციონის საფუძვლები	აუდიტი	საბაზო საქმე	საგადასახადო საქმე	ორგანიზაციული ქცევა	პრაქტიკა	საბაკალავრო ნაშრომი
იაზრებს ბიზნესის ადმინისტრირების აქტიურ მდგრელთა - ბიზნესის, მენეჯმენტის, მარკეტინგის, ფინანსების, საფინანსო აღრიცხვის, ფულისა და ფულად- საკრედიტო სისტემის, რისკების მართვის, დაზღვევის, საგადასახადო რეგულირების, კორპორაციული ფინანსების და ფინანსების მირითად კონცეპტს და		✓					✓		✓	✓	✓					✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓		

მათი კონტექსტის	გამოყენების																								
აღწერს ბიზნესის ძირითად ეკონომიკურ აქტორებს, ბიზნესის კონცეფციებს, საქმიანობის ძირითად მიზნებსა და ფუნქციებს, იკვლევს კონკრეტულ შემთხვევებს და ანალიზის საფუძველზე პროგნოზირებს სიტუაციას					✓	✓					✓												✓	✓	✓
იდენტიფიცირებს ბიზნეს ბაზრების, სამომხმარებლო ბაზრების სინქრონიზაციის ძირითად ინდიკატორებს					✓			✓				✓		✓										✓	✓
ახდენს ეკონომიკური კრიტერიუმების გამოყენებით საბიუჯეტო დისკუსიის კრიტიკას და ბიზნესის ციკლის ცვლილებასთან დაკავშირებით შესაბამისი საბიუჯეტო პოლიტიკის ფორმირებას						✓															✓	✓	✓	✓	✓
აყალიბებს მოსაზრებებს სფეროში არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ თანმიმდევრულად და არაუმენტირებულად ბიზნესის გამოწვევების ეფექტურად მართვის მიზნით		✓							✓						✓	✓								✓	✓
ახდენს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროსათვის დამახასიათებელი			✓					✓								✓								✓	✓

პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელებას წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, მთემატიკური მეთოდებისა და მოდელების გამოყენებით მათ თვისობრივ და რაოდენობრივ ანალიზს																										
ამყარებს კომუნიკაციას ინგლისურ ენზე პროფესიული ტერმინოლოგიის დემონსტრირებით	✓					✓			✓																✓	✓

პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზი

**პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზი
სასწავლო კურსები**

პროგრამის სწავლის შედეგები	პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზი																													
	ინგლისური ენა 1	კალკულუსი	აკადემიური წერა	ნიზანქსის საფუძვლები	მკროეკონომიკა	ინგლისური ენა 2	მკროეკონომიკა	მათემატიკა ზოზნქსისათვის	ზოზნქსის მართვა	ინგლისური ენა 3	მენეჯმენტის საფუძვლები	გარკვეული ენა 1	ინგლისური ენა 4	გრაკუტინგი 2	კორპორაციული მენეჯმენტი	სტატისტიკა ევროპიკასა და ზოზნქსი	სტატისტიკა ევროპიკასა და ზოზნქსი	კორპორაციული მენეჯმენტი	სტრატეგიური პოლიტიკა	კორპორაციული ფინანსები	სერტიფინისით ზოზნქსი	აღმანქური რესურსების მენეჯენტი	ზულალურული აღრიცხვა	საჯარო ფინანსები	ინკუსტივების საფუძვლები	აუდიტი	საბანკო საქმე	საგადასახადო საჭმე	ორგანიზაციული ქცევა	პრაქტიკა
იაზრებს ბიზნესის ადმინისტრირების აქტიურ მდგრენელთა - ბიზნესის, მენეჯმენტის, მარკეტინგის, ფინანსების, საფინანსო აღრიცხვის, ფულისა და ფულად-საკრედიტო სისტემის, რისკების მართვის, დაზღვევის, საგადასახადო რეგულირების, კორპორაციული ფინანსების და			1				2		1	1	1					2		2		2		3	1	2				3	3	

ფინანსების მართვის მირითად კონცეპტის და მათი გამოყენების კონტექსტს;																						
აღწერს ბიზნესის მირითად ეკონომიკურ აქტორებს, ბიზნესის კონცეფციებს, საქმიანობის მირითად მიზნებსა და ფუნქციებს, იკვლევს კონკრეტულ შემთხვევებს და ანალიზის საფუძველზე პროგნოზირებს სიტუაციას;				1	1					1					3			2	2	3	3	
იდენტიფიცირებს ბიზნეს ბაზრების, სამომხმარებლო ბაზრების სისტრონიზაციის მირითად ინდიკატორებს;				1			2				1			3						3	3	
ახდენს ეკონომიკური კრიტერიუმების გამოყენებით საბიუჯეტო დისკუსიის კრიტიკას და ბიზნესის ციკლის ცვლილებასთან დაკავშირებით შესაბამისი საბიუჯეტო პოლიტიკის ფორმირებას;						1											1	3	2	3	3	
აყალიბებს მოსაზრებებს სფეროში არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ თანმიმდევრულად და არაუმენტირებულად ბიზნესის გამოწვევების ეფექტურად მართვის მიზნით		1						2						2	2		2	3		3	3	
ახდენს ბიზნესის ადმინისტრირების			1					2						1							3	3

<p>სფეროსათვის დამახასიათებელი პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელებას წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, მთემატიკური მეთოდებისა და მოდელების გამოყენებით მათ თვისობრივ და რაოდენობრივ მაღალიზს;</p>	
<p>ამყარებს კომუნიკაციას ინგლისურ ენაზე პროფესიული ტერმინოლოგიის დამონსტრირებით.</p>	<p>1 1 2 3 3 3</p>